**სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა. აღსანიშნავია, რომ ეს საპატიო ჯილდო საქართველოს სპორტკავშირმა მეშვიდედ მოიპოვა.**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 84 (3061) 30 1966 წ. აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


დეპეშა მოსკოვიდან

## გილოცავთ!

თბილისი, რესპუბლიკის სპორტკავშირი, თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს.

1965 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო. ვულოცავთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ფიზიკური კულტურის მუშაკებს, აქტივისტებს, სპორტსმენებსა და ფიზკულტურელებს ჯილდოს, რომელიც მათ დაიმსახურეს მოპოვებული წარმატებებისათვის. გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ შრომას პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების შესასრულებლად.

ი. მაშინი,
სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.




## გამარჯვებულნი

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების ფიზკულტურული ორგანიზაციების, აგრეთვე, სპორტული საზოგადოებების შარშანდელი საქმიანობის შედეგები და დაადგინა:

1965 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებისა და ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის **გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ (დაკავებული ადგილების მიხედვით) **ესტონეთის, საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ლიტვის, რუსეთის ფედერაციისა** და **ლატვიის** რესპუბლიკური ორგანიზაციები.

**ესტონეთის** სსრ სპორტკავშირმა 1965 წლის გეგმა ასე გაანაღდა: ფიზკულტურელთა რიცხვი გაზარდა 287.700-მდე, ხოლო ფიზკულტურაში ჩაბმული მოსახლეობის პროცენტი — 22,4-მდე; მოამზადა 39.300 მშთ ნიშნოსანი, 96.000 თანრიგოსანი, გეგმით გათვალისწინებული 1.145 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის ნაცვლად—2.112 (შესრულება — 184,5 პროცენტი), 105 სპორტის ოსტატის ნაცვლად — 112 (106,7 პროცენტი). საერთო გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვმა მიაღწია 128.200-ს, მომზადდა 24.700 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

**საქართველოში** ფიზკულტურელთა რიცხვი ავიდა 942.400-მდე, ხოლო ფიზკულტურაში ჩაბმული მოსახლეობის პროცენტი უდრის 20,7-ს. რესპუბლიკაში მომზადდა 155.000 მშთ ნიშნოსანი და 147.000 თანრიგოსანი. გეგმით გათვალისწინებული 2.041 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 3.547 (173,8 პროცენტი), ხოლო 235 სპორტის ოსტატის მაგივრად — 240 (102,1 პროცენტი). საერთო გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვმა მიაღწია 304.700-ს, ხოლო საზოგადოებრივი ინსტრუქტორების რაოდენობამ — 71.400-ს.

**უკრაინაში** ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზარდა 10.726.700-მდე, ხოლო ფიზკულტურაში ჩაბმული მოსახლეობის პროცენტი — 23,6-მდე. მომზადდა 1.696.400 მშთ ნიშნოსანი და 1.727.300 თანრიგოსანი. 17.055 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 20.751 (121,7 პროცენტი), ხოლო 1.151 სპორტის ოსტატის მაგიერ — 941 (81,8 პროცენტი). საერთო გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი ახლა შეადგენს 2.857.100-ს, ხოლო საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა — 702.100-ს.

**გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**თბილისის** სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე გ. რცხილაძე);

**ქუთაისის** სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი).

**გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით** დაჯილდოვდეს: „**კოლმეურნის**" ცენტრალური საბჭო (თავმჯდომარე ვ. ჟღენტი).

**საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ;

„**განთიადის**" ცენტრალური საბჭო (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე),

„**სპარტაკის**" რესპუბლიკური საბჭო (გ. ცქიტიშვილი);

„**შრომითი რეზერვების**" რესპუბლიკური საბჭო (მ. ჩიხლაძე);

„**ლოკომოტივის**" საგზაო საბჭო (თ. კაჭახიძე);

„**ბურევესტნიკის**" რესპუბლიკური საბჭო (გ. ჰილაია).



## IX პარტია • სპასკი ისევ ურიგდება ყაიმს

**მოსკოვი,** 29 აპრილი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დღეს ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან — სპასკის მატჩის IX პარტია, რომელიც მხოლოდ სამ საათს გრძელდებოდა.

პარტიაში გათამაშდა კარო-კანის დაცვა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონი ამ მატჩში მუდამ მიმართავს. როგორც წინა შეხვედრებში, სპასკიმ ვერც ამჯერად მოიპოვა უპირატესობა, თუმცა დარბევით დაემუქრა შავ მეფეს. მართალია, პეტროსიანს მოუხდა მეფის პოზიციის დასუსტება, მაგრამ შემდგომი თამაშით გააქარწყლა მეტოქის „ბოროტი" ზრახვანი. სპასკის ისღა დარჩა, რომ დათანხმებულიყო გაცვლებზე და ყაიმიც გარდუვალი აღმოჩნდა.

აი, ეს პარტიაც:

**სპასკი — პეტროსიანი**

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 მf6 5. მc3 e6 6. მf3 კe7 7. cd მ:d5 8. კd3 მc6 9. 0—0 0—0 10. ეe1 კf6 11. კe4 მce7 12. ლc2 g6 13. კh6 კg7 14. კg5 f6 15. კd2 კd7 16. ლb3 კc6 17. კ:d5 ed 18. მe4 ეf7 19. მc5 მf5 20. h3 კf8 21. მe6 ლd7 22. მ:f8 ე|:f8 23. კb4 ეfe8 24. ე:e8+ ე:e8 25. ეe1 ე:e1+ 26. კ:e1. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5:4 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. X პარტია შედგება 2 მაისს.

## გუშინ...

**ჭადრაკში** საქართველოს ჩემპიონის სახელისთვის ბუსლაევ—ჯინჯიხაშვილის მატჩის IV პარტია ხუთსაათიანი ცხარე ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. თამაში შეწყდა ეტლების დაბოლოებაში, რომელშიც ბუსლაევს ორი ზედმეტი პაიკი აქვს. ამ პარტიის დამთავრება დღეს მოხდება. ამრიგად, მატჩის ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა — 1,5:1,5.

### სპორტული საათი!

◆ **ბოლონია,** 29 აპრილი. უხეიროდ დაიწყეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა დევისის თასის გათამაშება. გუშინ, იტალიის ნაკრებთან მატჩის პირველ დღეს, თ. ლეიუსმა წააგო მასპინძელთა „პირველ ჩოგანთან" ნ. პიეტრანჯელისთან (1:6, 3:6, 1:6), ხოლო ა. ივანოვმა — ი. ტოკინისთან (7:5, 4:6, 4:6, 2:6). დღეს გაიმართა წყვილთა შეჯიბრება. ამჯერად, საბჭოთა ჩოგბურთელებმა იმარჯვეს: ლეიუს — ლიხაჩოვის დუეტმა დაამარცხა დიმასი და მაიოლსი. ხვალ გაიმართება დასკვნითი შეხვედრები ჯერჯერობით წინ არიან მასპინძლები — 2:1.

◆ **სანტ-იაგო,** 29 აპრილი. ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — აშშ-ის სპორტსმენებმა დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები — ბრაზილიელები — 77:61. იუგოსლაველებმა სძლიეს ჩილიელებს — 91:73. ტურნირს სათავეში ჩაუდგნენ ამერიკელები და იუგოსლაველები, რომლებსაც 2 ქულით ჩამორჩება საბჭოთა ნაკრები, მაგრამ მას 1 მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშევი.

◆ **ნიუ-იორკი,** 29 აპრილი. 6 მატჩი — 6 გამარჯვება! ასეთი ტრიუმფით აღინიშნა სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრების ტურნე ჩრდილოეთ ამერიკასა და კანადაში. „სპორტსმენთა საერთაშორისო კლუბმა" საბჭოთა გუნდის კაპიტანს ნ. პოზნანსკაიას (ლენინგრადის ასკ), როგორც მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელ ქალს, სპეციალური პრიზი მიანიჭა.

◆ **ბუდაპეშტი,** 29 აპრილი. „ესპადრონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ამას წინათ დაწესებული თასის პირველი მფლობელები გახდებიან საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის ან იტალიის მოფარიკავეები", — განაცხადა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, უნგრეთის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა პ. კოვაჩმა. ეს შეჯიბრება აქ 30 აპრილს გაიმართება. პრიზს ერთმანეთს შეეცილებიან 9 ქვეყნის სპორტსმენები. საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავს „დინამოს" გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ი. რილსკი, ნ. ასათიანი, მ. სახვაძე, ე. ვერენჩუკი და ვ. ნიკიტინი. 1 მაისს კონტინენტის უძლიერესი ესპადრონისტები გამოვლენ პირად ტურნირში „უნგრეთის თასზე".

◆ **მოსკოვი,** 29 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი მოსკოვის ცსკა-სა და „დინამოს" ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს არმიელებმა — 3:0 (15:7, 15:7, 15:6). ამ კოლექტივთა მეორე მატჩი გაიმართება 30 აპრილს.

ველოსპორტის მოყვარულთათვის კარგი საჩუქარი იქნება საერთაშორისო კლასის ველოტრეკი, რომელიც თბილისში აიგება არქიტექტორ ნ. შოშიტაშვილის პროექტით. ველოტრეკის სიგრძე 400 მეტრი იქნება, სიგანე — 9, დახრილობის კუთხე — 38 გრადუსი. თავდაპირველად იგი 5.000 მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ ვარაუდობენ, რომ შემდეგში ამ რიცხვის გაზრდა 15.000-მდე შეიძლება. პროექტის ავტორმა იტალიაში იმოგზაურა, საგანგებოდ დაათვალიერა რომის ოლიმპიური თამაშების ველოტრეკი და თავის პროექტში გაითვალისწინა იტალიური ტრეკის ბევრი საინტერესო დეტალი.

სურათზე: თბილისის ველოტრეკის გეგმა.

# კიდევ ერთხელ „უნივერსალიზმის“ შესახებ

ბოლო წლებში ქართული ველოსპორტის წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული ო. ფხაკაძის სახელთან, რომელმაც სან-სებასტიანის ტრეკზე მოპოვებული გამარჯვებით მსოფლიო ველოსპორტის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. მაგრამ ბევრმა არ იცის, სინამდვილეში რას წარმოადგენს ქართული ველოსპორტი.

ნიჭიერი ველოსიპედისტები ჩვენ მუდამ გვყავდა. სსრ კავშირის ჩემპიონებისა და პრიზიორთა სახელს სხვადასხვა დროს ატარებდნენ: გ. ლეჟავა, ა. ხაბურზანია, ა. გუნია, ო. დადუნაშვილი, ვ. ძებნიაური, ვ. ჯონჯოლიანი, ი. კავსაძე, ო. პროკოპენკო, დ. ბატაშვილი და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ერთეულები იყვნენ, თანაც, სატრეკო ველოსპორტის საერთო აღმავლობა არც მაშინ შეიმჩნეოდა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები ბოლო წლების საკავშირო ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში X ადგილზე გამოდის. ცხადია, მხოლოდ ფხაკაძის იმედით საქართველოს ველოსპორტი ფონს ვერ გავა.

წარუმატებლობის მთავარ მიზეზს სპეციალისტები თანამედროვე ტიპის ველოტრეკის უქონლობაში ხედავენ. რა თქმა უნდა, მიზეზი უაღრესად დიდია, მაგრამ არამც და არამც ერთადერთი. ეს საქმე „მკვდარი წერტილიდან“ უკვე დაიძრა და ველოსიპედისტებს რამდენიმე წლის შემდეგ კარგი სპორტული ბაზა ექნებათ.

როგორ ფიქრობთ, ამის გამო ერთბაშად ამაღლდება სპორტული მაჩვენებლები? ეფექტს, რომელსაც ჩვენ მოველით, მხოლოდ მას შემდეგ მივაღწევთ, თუ ამასთან სხვა, არც თუ ისე ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს გადავჭრით.

საქმე ისაა, რომ ახალ ტრეკთან ერთად ახალი საზრუნავიც გაჩნდება. თუ დღეისთვის საკავშირო შეჯიბრებებში V–VI ადგილი ჩვენი ოცნების „ჭერია“, ახალი ტრეკი კიდევ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს წარმოშობს, რომლებიც წვრთნის მეთოდიკის საფუძვლიანად განუახლებლად ვერ გახორციელდება.

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის წინ ჩვენს ტრეკზე მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი — გეგეშიძე, ხოშტარია, ბარამია, შავლიაშვილი, სუჯაშვილი, პოპოვი, პოპოვკი და სხვ. მათ თამამად შეეძლოთ უმაღლესი კლასის ველოსიპედისტები გამხდარიყვნენ. აი, თითქოს გამოჩნდა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ღირსეული რეზერვი. სამწუხაროდ, ამ ველოსიპედისტთა ნაწილი დღეისთვის საერთოდ ჩამოსცილდა სპორტს, ნაწილი კი კვლავ წარუმატებლად გამოდის. მიზეზი? უსწორო წვრთნა, რამაც სპორტსმენთა ორგანიზმის ფუნქციონალური გადახრა გამოიწვია. სწორედ ამის გამო დ. გეგეშიძეს, რომელმაც 18 წლის ასაკში ოსტატობას მიაღწია, ერთი წლის შემდეგ კატეგორიულად აეკრძალა სპორტში მეცადინეობა.

სხვადასხვა დროს ორგანიზმის ფუნქციონალური გადახრა ჰქონდათ ა. პოპოვს, მ. ბაქრაძეს, გ. ბატაშვილს, ა. დაიაურს, ტ. აბდუშელიშვილს და სხვ. ისინი სპორტს ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის ექიმის ჭ. ანდღულაძის მეცადინეობით დაუბრუნდნენ. ეს მაგალითიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელისა და სპორტსმენის კონტაქტს ექიმთან. სამწუხაროდ, თვით ველოსიპედისტები ამას ვერ გრძნობენ. ჩვენი რესპუბლიკის სატრეკო ველოსიპედისტთა ნაკრებს, რომელიც აქედანვე გულმოდგინედ უნდა ემზადოს სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის, ჯერ კიდევ არ გაუვლია (დაწყებული 1965 წლის 1 დეკემბრიდან) საექიმო შემოწმება (ფხაკაძისა და პროკოპენკოს გარდა).

ჩვენს ველოსპორტში ჯერ კიდევ შეიმჩნევა „უნივერსალიზმით“ გატაცება, უფრო სწორად, ამ სიტყვის მნიშვნელობის უსწორო გაგება. ველოსიპედისტი უნივერსალია, თუ ერთნაირად კარგად გამოდის ყველა მოკლე, ან ყველა გრძელ დისტანციაზე. ბოროტებაა, რომ სპრინტერს მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობას სთხოვენ. ასეთ „უნივერსალიზმს“ ველოსიპედისტის ორგანიზმისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

იყო დრო, როცა ფიზიკურად კარგად მომზადებული ველოსიპედისტები გამოდიოდნენ როგორც საგზატკეცილო რბოლაში, ისე ტრეკზე, ამასთან, სხვადასხვა, დიამეტრალურად საწინააღმდეგო დისტანციაზე. მაგრამ მაშინ სპორტული მაჩვენებლების დონე დაბალი იყო და მსგავსი ექსპერიმენტი უმტკივნეულოდ ტარდებოდა. დღეს კი სპორტული მაჩვენებლების დონე ერთი ათად გაიზარდა. ამიტომაც საგზატკეცილო ველოსპორტის ვერც ერთი წამყვანი ოსტატი ვერ შევა, ვთქვათ, უძლიერეს სპრინტერთა რიგებში ისე, როგორც წინათ ამას ს. ბოლშაკოვი ახერხებდა.

მიზეზი ნათელია: ახლა მოთხოვნა ყოველ სახეობაში იმდენად ამაღლდა, რომ დიდი შედეგების მისაღწევად სპეციალური და მრავალწლიანი წვრთნაა საჭირო და ისიც მხოლოდ ერთი მიმართულებით. სამწუხაროა, რომ ყოველაფერი ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს შეგნებული. მსოფლიო ჩემპიონის ო. ფხაკაძის მწვრთნელი გ. ჯოხაძე თავის დროზე როგორც სპრინტში, ისე მრავალდღიან ველორბოლაშიც გამოდიოდა. ამან ხელი შეუშალა მის წარმატებას ძირითად სახეობაში — სპრინტში და სპორტსმენის ჯანმრთელობას ერთგვარი დაღიც დაასვა. უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ყველა ამ მეთოდური ხასიათის შეცდომას მწვრთნელებს ვაწერდე. საქართველოში ბევრია ისეთი მწვრთნელი, მაღალი კლასის ველოსიპედისტთა მომზადება რომ ძალუძს. სამწუხაროდ, ისინიც „უნივერსალიზმის“ სენით არიან შეპყრობილი. მაგრამ ეს უკვე სხვაგვარი „უნივერსალიზმია“. ერთი და იგივე მწვრთნელი, როგორც წესი, ავარჯიშებს ჭაბუკებსაც, გოგონებსაც, ვაჟებსაც და ქალებსაც როგორც ტრეკზე, ისე გზატკეცილზე. ერთი სიტყვით, ასეთ შემთხვევაში თვით მწვრთნელია „უნივერსალი“. რა თქმა უნდა, ამგვარი „დიაპაზონით“ მუშაობას მწვრთნელი თავს ვერ გაართმევს და მისი ნაღვაწის ხარისხიც დაბალი იქნება.

მწვრთნელთა ვიწრო კვალიფიკაცია: აი, რას უნდა მივაღწიოთ. როცა გვეყოლება ცალკე ვაჟების მწვრთნელი, ცალკე სპრინტერთა მწვრთნელი და ა. შ., მუშაობასაც მეტი ეფექტი ექნება და წიწილების დათვლის საშუალებაც მოგვეცემა. სხვაგვარად ახალი ტრეკი დიდად არ გვარგებს.

ჯ. ზანდუკელი,
სპორტის საპატიო ოსტატი.



როგორც ცნობილია, ამას წინათ ჩვენს დედაქალაქში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ვაჟთა ასპარეზობაში თავი ისახელა ახალგაზრდა თბილისელმა ი. ნინოშვილმა, რომელმაც აბსოლუტური პირველობისთვის ბრძოლაში II ადგილი დაისაკუთრა. სპეციალისტების აღიარებით, მზარდ ტანმოვარჯიშეს კარგი მომავალი აქვს.

სურათზე: ი. ნინოშვილი რგოლებზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## დაწინაურდა თ. ბარამიძე

ქუთაისი, 29 აპრილი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება საქართველოს პირველობა რუსულ შაშში. წარმატებით თამაშობენ ქუთაისელი და თბილისელი მოშაშეები. 7 ტურის შემდეგ დაწინაურდა თბილისელი ოსტატი თ. ბარამიძე — 5,5 ქულა. ოსტატობის კანდიდატმა ი. მოძღვრიშვილმა (ქუთაისი) 5 ქულა მოაგროვა 6-დან. 0,5 ქულით ნაკლები აქვს საქართველოს მარშანდელ ჩემპიონს თამაზ ბარამიძეს. 5 ქულა (7-დან) აქვს ახალგაზრდა თბილისელ ი. სპესივცევს.

აღსანიშნავია ქუთაისელი ჭაბუკის ბ. ლოსაბერიძის თამაში. მან შესანიშნავად ჩაატარა პარტიები ბათუმელ ა. ტოჩენოვთან და სოხუმელ გ. ბარამიძესთან, მოხაგები პოზიციებიც მიიღო, მაგრამ გამოცდილება არ ეყო გამარჯვების მოსაპოვებლად.

ს. საგიევი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## მწვერვალს დაამშვენებს შოთას ბიუსტი

შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად სოხუმის თეატრის ტურისტთა სექციის წევრებმა გადაწყვიტეს მწვერვალ ჩუმკუზბაზე დადგან გენიალური ქართველი პოეტის ბიუსტი.

მოქანდაკე ბ. ლოლობერიძემ უსასყიდლოდ შექმნა შოთას ბიუსტი, რომელიც 2-მეტრიან კვარცხლბეკზე დაიდგმება.

ამ საინტერესო ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის მსახიობები, აგრეთვე სოხუმელი ჟურნალისტები.

ნ. მიქაშავიძე,
სოხუმის თეატრის ტურისტული სექციის თავმჯდომარე.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ძმები ტატარინცევების „ტანდემი“

თავისებურ „ტანდემს“ შეადგენენ ძმები ტატარინცევები, რომლებიც აზერბაიჯანის ჩემპიონები გახდნენ: უფროსი, ვიქტორი — უროს ტყორცნაში, უმცროსი, ვალერი — ძალოსნობაში.

ძმებმა სწრაფად მიაღწიეს წარმატებას სპორტში. ვიქტორი, ურო რომ ხელში აიღო, პირველსავე წელიწადს გახდა „შრომითი რეზერვების“ ჩემპიონი. ვალერიმ ძმასავით უროთი დაიწყო, მერე ძალოსნობამ გაიტაცა და უკვე სამჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ძმების მეგობრული „ტანდემი“ სხვა სფეროშიც მჟღავნდება. სატირული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად ნახავთ ნახატებს, მეგობრულ შარჟებს, კარიკატურებს სპორტულ თემებზე. მათი ავტორი ვიქტორია.

ვალერი? როგორც წესი, ვიქტორის მიერ ილუსტრირებულ წერილებს, ფელეტონებს, ნარკვევებს, ჩანახატებს ხელს აწერს ვალერი ტატარინცევი. უმცროსმა ძმამ ჟურნალისტობა არჩია.

ბაქო.

### ყველაზე მძლავრი „იჟევსკელი“

„იჟ-65“-ის მარკის მოტოციკლის წლევანდელ ნიმუშს 28 ცხენისძალა აქვს. იგი ყველაზე მძლავრია თანამოძმეთა შორის. ეს მოტოციკლი ბევრად სრულყოფილია სხვა ნიმუშებთან შედარებით, აქვს ელექტრომოწყობილობის ახალი ჰერმეტიზირებული სისტემა და გაუმჯობესებული საჰაერო ფილტრი. კონსტრუქტორები ვ. კორობეინიკოვი, ვ. ლუკოიანოვი, ვ. უმნიაშკინი და მათი ამხანაგები შეეცადნენ მოტოციკლი არა მარტო გამძლე და სწრაფმავალი, არამედ გარეგნულად ლამაზი და სახმარადაც, რაც შეიძლება, მეტად მოსახერხებელი ყოფილიყო. იჟევსკის მანქანათსაშენმა ქარხანამ უკვე გამოუშვა ახალი მოტოციკლების დიდი პარტია.

იჟევსკი.

### კოლექციონერების „ჩემპიონატი“

სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის დარბაზები ისევ იქცა ჩვენი ქვეყნის კოლექციონერების ასპარეზად. რა არ გამოფინეს შემგროვებლებმა: საფოსტო ბარათები, კონვერტები, სამკერდე ნიშნები, მარკები, მონეტები, ასანთის კოლოფის ეტიკეტები.

გამოირჩევა ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი მიძღვნილი უნიკალური კოლექციები. ლენინგრადელმა ნ. დოლომოვმა, მაგალითად, „ჩემპიონატზე“ წარმოადგინა მარკების, ბლოკებისა და კონვერტებისგან შემდგარი თემატური ექსპოზიცია „საბჭოთა კავშირი ოლიმპიურ თამაშებში“. მოსწავლე ნ. კარაჩუნმა გამოფენაზე გამოიტანა კოლექცია „ჭადრაკი და ფილატელია“. კარაჩუნს განთქმული მოჭადრაკეებისადმი მიძღვნილი მარკები და კონვერტები შეუგროვებია.

აქვეა უმნიშვნელოვანესი საჭადრაკო ტურნირების ამსახველი ბარათები და სუვენირები, საბჭოთა საჭადრაკო სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთა პორტრეტები და სხვ.

ლენინგრადელებს გამოფენა ძალიან მოსწონთ.

ლენინგრადი.







# რეკორდები, რეკორდები...
## ნაცნობი გვარები
## ლიდერთა ტრიუმვირატი

# ახალი ამბები

● **მოსკოვი**, 28 აპრილი. ბავშვთა სპორტსკოლების მოცურავეთა პირველობაზე ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა რკინიგზელმა ვ. ბურემ. 50-მეტრიან აუზში 400 მ თავისუფალი სტილით მან 4 წუთსა და 28,0 წამში დაფარა.

● **სანტ-იაგო**, 28 აპრილი. ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში ლიდერებმა პირველი მარცხი განიცადეს. სსრ კავშირის ნაკრებმა წააგო ბრაზილიასთან — 58:60, ხოლო აშშ-ის გუნდმა — იუგოსლავიასთან — 59:69. ამრიგად, შეიქმნა ლიდერთა ტრიუმვირატი — აშშ, სსრ კავშირი, იუგოსლავია. თვითეულ მათგანს 4 შეხვედრის შემდეგ 3 გამარჯვება აქვს. საბჭოთა გუნდს ჩასატარებელი დარჩა 2 მატჩი: 29 აპრილს — ბულგარელებთან და 30 აპრილს — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან.

● **წახკაძორი**, 28 აპრილი. საკავშირო ჩემპიონატის წინ სომხეთის ამ მაღალმთიან აგარაკზე შესარჩევი შეჯიბრება გამართეს მჩატე და მძიმე წონის ძალოსნებმა. ალმაათელმა პ. კიმმა (მჩატე წონა) ატაცში 109 კგ აჩვენა, რაც სსრ კავშირის რეკორდზე 0,5 კგ-ით მძიმეა. სამჭიდში მან 327,5 კგ დააგროვა. მძიმე წონის ძალოსნებში გაიმარჯვა როსტოველმა ვ. ჩერვიაკოვმა (472,5 კგ).

● **ვოლგოგრადი**, 28 აპრილი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აქ დამთავრებულმა საკავშირო შეჯიბრებამ ბოლო დღეს გამოავლინა ჩემპიონები ცალკეულ სახეობებში. უსაგნოდ ვარჯიშში 38,6 ქულით გაიმარჯვა ნ. ოვჩინიკოვამ (გროზნო), ხოლო საგნით ვარჯიშში — მოსკოველმა ლ. სავინკოვამ — 38,35 ქულა. საგნით ნებისმიერი ვარჯიშის ფინალურ ასპარეზობაში ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა.

კლასი „ა" II ჯგუფი

# სათავეშია „ყუბანი"

27 აპრილს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფში.

„თერგი" (გროზნო) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 2:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 0:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (ტალინი) 3:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:2, „ყუბანი" (კრასნოდარი)—„ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 2:0, „როსტსელმაში" (როსტოვი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0, „სპარტაკი" (გომელი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:2.

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 4 | 3 | 1 | 0 | 8—1 | 7 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 4 | 2 | 2 | 0 | 3—1 | 6 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—1 | 5 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—1 | 5 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—2 | 5 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 4 | 1 | 3 | 0 | 5—3 | 5 |
| „თერგი" (გროზნო) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—4 | 5 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 4 | 1 | 2 | 1 | 6—4 | 4 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—4 | 4 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—3 | 4 |
| „დინამო" (ბათუმი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—5 | 3 |
| „დაუგავა" (რიგა) | 4 | 0 | 3 | 1 | 4—5 | 3 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—3 | 3 |
| „დინამო" (ტალინი) | 4 | 0 | 1 | 3 | 1—6 | 1 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 4 | 0 | 1 | 3 | 1—7 | 1 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—7 | 0 |




[illegible]

◆ **ოჩამჩირე**

აქ მოეწყო ტურნირი გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის ა. ტყებუჩავას ხსოვნის პრიზზე, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ სტუმრები რსფსრ-დან და ზუგდიდიდან. I ადგილი დაიკავა ოჩამჩირის „დინამოს" ახალგაზრდულმა გუნდმა (მწვრთნელი შ. რიგვავა).

შ. ხოჯაავა.

„ბ" კლასი IV ზონა

# მარცხიანი მგზავრობა

როგორც ვიუწყებოდით, დაიწყო საკავშირო პირველობის გათამაშება რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

რუსთავის „მეტალურგმა" ფრედ (0:0) ითამაშა კაფანში ადგილობრივ „ლერნაგორცთან". გურჯაანის „ალაზანი" დამარცხდა ერევანში ადგილობრივ „არაქსთან" შეხვედრაში — 0:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი კიროვაკანში „ლორისა" და გორის „დილას" შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ტყიბულის „მეშახტემ" ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი ოქტემბერიანში, სადაც ადგილობრივ „სევანს" ეთამაშებოდა. ორჯონიკიძის „სპარტაკმა" შინ მოუგო ზუგდიდის „ენგურს" — 4:1.

# მომავალი პედაგოგები ემზადებიან

ცოტაც და სტარტი მიეცემა სტუდენტთა რესპუბლიკურ თამაშებს. კითხვაზე, როგორ ემზადება ამ დიდი ასპარეზობისთვის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი, სასწავლებლის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ზ. მამუჩაძემ გვიპასუხა:

— რესპუბლიკური თამაშებისთვის მზადება იანვარში დავიწყეთ. მართალია, ჩვენი კოლექტივი II ჯგუფში გამოდის, მაგრამ სპორტის 12 სახეობაში ცდის ძალას. შარშანდელ ასპარეზობაში II ჯგუფის გუნდებს შორის საერთო I ადგილი მოვიპოვეთ. ჩვენი სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ ცალკეულ სახეობებშიც. მაგალითად, ჩემპიონები გახდნენ მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ცურვაში და სხვ. წარმატების მოპოვება, რა თქმა უნდა, იოლი არ არის, მაგრამ მისი შენარჩუნება უფრო ძნელია. ამიტომ იყო, რომ წლევანდელი შეჯიბრებებისთვის იმთავითვე გულმოდგინედ დავიწყეთ მზადება. შედეგებს ასპარეზობა გვიჩვენებს.

სტუდენტთა თამაშების დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა. და ამ დროს ახლა ჩვენი ძალების შესამოწმებლად ვიყენებთ. წლეულს თამაშებში ინსტიტუტის მოწინავე სპორტსმენებთან — ს. პარფინიდისთან, გ. ჰანტურიასთან, ს. ქორქოლიანთან, ლ. ავდალიანთან, ნ. შანიძესთან და სხვებთან ერთად ახალგაზრდა, ჯერ ნაკლებ გამოცდილი სპორტსმენებიც გამოვლენ.

სტუდენტ-სპორტსმენთა მზადებას ხელს უშლიდა საწვრთნელი ბაზების სიმცირე. ბუნებრივია, ერთი სპორტული მოედანი ყველას ვერ გაწვდებოდა. ახლახან ზღვისპირა უბანში გამოგვიყვეს ფართობი, სადაც დამატებით ეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები და მძლეოსნური სექტორები.

ი. ბერძენიშვილი.

ბათუმი.

# 19 წლის შემდეგ

საბჭოთა მოჭიდავეების გზა დიდ სარბიელზე 1947 წელს დაიწყო. მაშინ ჩვენმა ათლეტებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს ევროპის ჩემპიონატში — კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირიდან შინ ოქროს 3 მედლით დაბრუნდნენ. ბურჟუაზიული პრესის წინდაუხედავი და დამამცირებელი რეპლიკების მიუხედავად, ევროპის მოჭიდავეთა პირველი ფორუმის ლაურეატები გახდნენ ნ. ბელოვი, კ. კობერიძე და ი. კოტკასი. მას შემდეგ კონტინენტის უძლიერეს ათლეტთა ასპარეზობა დიდი ხნით დავიწყებას მიეცა. და აი, 19 წლის მერე ეს მეტად საინტერესო ტურნირი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით აღდგა. წლევანდელი ჩემპიონატი, რომლისთვისაც სსრ კავშირის მოჭიდავეები უკვე კარგა ხანია ემზადებიან, კარლსრუეში (გფრ) 6-8 მაისს ჩატარდება.

თავისუფალ ჭიდაობაში შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენმა ათლეტებმა მხოლოდ ოქროს 2 მედლით აღნიშნეს (გ. საღარაძე და ა. ივანიცკი). დამეთანხმებით, რომ ეს შედეგი ისეთი დიდი საჭიდაო ტრადიციის ქვეყნისთვის, როგორიც სსრ კავშირია, დამაკმაყოფილებელი არ გახლავთ. სწორედ ამიტომ, ნაკრების მწვრთნელები უკვე კარგა ხანია „აგრესიულად" განეწყვნენ. ალბათ, ამიტომაა, რომ დღემდე მათ ნაკრების ზუსტი შემადგენლობა არც კი დაუსახელებიათ. ვიცით მხოლოდ 24 კანდიდატის გვარი. მათ რიცხვში, რა თქმა უნდა, არიან: ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ა. მედვედი, ა. ივანიცკი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. საღარაძე, ბოლო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ზ. ბერიაშვილი, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ნ. ხოხაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონები ტ. ალიბეგაშვილი, ს. ქარსაულიძე, შ. ლომიძე, საკავშირო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ა. ცხოვრებოვი და სხვ.

შესაძლოა, ზემოდასახელებულთაგან რომელიმემ მონაწილეობა მიიღოს არა ევროპის პირველობაში, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც ამა წლის ივნისს ტოლიდოში (აშშ) გაიმართება.

უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილი კლასიკური სტილის მოჭიდავეები. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ა. კოლესოვის „ბიჭებმა" (იგი ამჟამად სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელია) შარშან ტამპერედან (ფინეთი) ოქროს 7 მედალი ჩამოიტანეს, რაც სარეკორდო „მოსავლად" ითვლება.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპული ფორუმიც გფრ-ში გაიმართება, ოღონდ სხვა ქალაქში — ესენში. იგი დაიწყება 13 მაისს და სამ დღეში დამთავრდება. ნაკრების კანდიდატთა შორის არიან სახელგანთქმული ათლეტები: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. საიადოვი და ა. როშჩინი, სსრ კავშირის ჩემპიონი ა. კიროვი და მისი მუდმივი მეტოქე — ვერცხლის მედლის კავალერი ო. ბლიაძე. სხვათა შორის, ა. კოლესოვიც იმ აზრს იზიარებს, რომ ბლიაძე მეტისმეტად ნიჭიერი და პერსპექტიული ათლეტია და სათანადო წვრთნის შემდეგ თამამად შეუძლია გახდეს საერთაშორისო კლასის ოსტატი. თუმცა კოლესოვს მიაჩნია, რომ ბლიაძეს შეუპოვრობა არ ჰყოფნის.

როგორია ძალთა განლაგება ევროპის ჩემპიონატის წინ? 1953 წლიდან მოყოლებული, სსრ კავშირის ნაკრები კლასიკურ ჭიდაობაში მუდამ I ადგილს იკავებს. ჩვენს ათლეტებს ძლიერ მეტოქეობას გაუწევენ ბულგარელი, პოლონელი, იუგოსლაველი, მოჭიდავეები და, რა თქმა უნდა, მასპინძლები.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის საქმე სხვაგვარადაა. პირველობის საკითხს აქ, როგორც ჩანს, სსრ კავშირის, ირანისა და ბულგარეთის გუნდების პაექრობა გადაწყვეტს. წლეულს აპრილის დამდეგს ბულგარელები სამჯერ შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონს — ირანის გუნდს. მასპინძლებმა — ბულგარელებმა 1 შეხვედრა მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები ქართველი მოჭიდავეების ძალას კარგად იცნობენ. 1955 წელს გ. კარტოზიამ გფრ-ში მიიღო თავისი მეორე ოქროს მედალი. 1962 წელს ა. კიკნაძე და ა. ქიბროწაშვილი სწორედ ესენში გახდნენ ევროპის ჩემპიონები (ძიუ-დოში). საფიქრებელია, რომ ისინი ტრადიციას არც ამჯერად დაარღვევენ.

ჰ. ხაჩიძე.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

როგორც ცნობილია, ლესელიძეში ორ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდების ასპარეზობა მძლეოსნობაში.

სურათებზე: (მარცხნიდან) — სსრ კავშირის რეკორდსმენი ტ. ჩენჩიკი სძლევს 173 სმ სიმაღლეს; 5 კილომეტრზე რბენის მომენტი; ბადროს ტყორცნაში გამარჯვებული თ. პრესი (57,90 მ); 80 მეტრზე თარჯრბენი — წინა პლანზეა მსოფლიო რეკორდსმენი, ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ი. პრესი (10,6); 3 კილომეტრზე წინაღობებით რბენის მომენტი.

ფოტო ვ. სემიონოვისა.





ფეხბურთი

# ნაკრები ემზადება

ბრეგენცი, 28 აპრილი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს ევროპის გათამაშებისთვის მორიგი საწვრთნელი მატჩი ავსტრიაში გუშინ ჰქონდა ადგილობრივ კლუბ „შვარც-ვაისთან“. ეს გუნდი ავსტრიის ჩემპიონატის II ლიგაშია, მაგრამ ამჯერად ეროვნული ნაკრებისა და „ვაკერის“ მოთამაშეებით იყო გაძლიერებული.

ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა შტურმბერგმა. 18 წუთის შემდეგ საბჭოთა ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა პონედელნიკმა შეძლო გოლის გაქვითვა.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ბევრს უტევდნენ და მეტრეველმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ავსტრიელთა კარში — 2:1.

ავსტრიული პრესა დაბალ შეფასებას აძლევს სტუმართა თამაშს და განსაკუთრებით აღნიშნავს თავდამსხმელების პასიურობას. ქებით მოიხსენიებს მხოლოდ დანილოვს, ვორონინს, მეტრეველს.

საბჭოთა ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი, პონომარიოვი, ოსტროვი (აფონინი), ვორონინი (შესტერნიოვი), დანილოვი, სერებრიანიკოვი, ჰუსაინოვი, ჩისლენკო (მეტრეველი), პონედელნიკი (კოპაევი), მალოფეევი, მესხი.

## „ყირგიზეთის მექსიკა“

პრჟევალსკი (ყირგიზეთი), 28 აპრილი. ისიკ-კულში შეიქმნება ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელი სასწავლო-საწვრთნელი ბაზა. რატომ მაინცდამაინც აქ გადაწყდა სპორტსმენთა მოსამზადებელი ბაზის აშენება? საქმე ის არის, რომ ნალიჩის რაოდენობით, მზის რადიაციით, ტემპერატურის რეჟიმითა და სხვა ნიშნებით ეს რაიონი ერთობ გავს მექსიკას.

და აი, ქალაქის სტადიონზე უკვე გაჩაღდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მოკლე დროში აქ გაჩნდება კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, რიგი. აიგება აგრეთვე 5000 მაყურებელზე გათვალისწინებული ტრიბუნები. მაღალმთიანი, ლაჟვარდოვანი ისიკ-კული მალე პირველ ოლიმპიელებს მიიღებს.

PORTUGAL

პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურები მწვავე ბრძოლით აღინიშნა. ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის ლისაბონის ორი გუნდი — „ბენფიკა“ და „სპორტინგი“.

XXV ტურში „ბენფიკამ“ მძიმე ბრძოლაში დაამარცხა სეტუბალის „ვიტორია“ — 3:2. „ბენფიკას“

## „სპორტინგი“ უძლიერესი?

შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა ახალმა „ვარსკვლავმა“, კუნძულ მადეირადან ჩამოყვანილმა 19 წლის ზანგმა თავდამსხმელმა ნელსონმა.

მორიგი 2 ქულა მოიპოვა „სპორტინგმაც“: მან საკუთარ მინდორზე დაამარცხა ძლიერი „ფკ პორტო“ — 4:0.

ხვალ ჩატარდება ჩემპიონატის ბოლო ტური, რომელიც გამოავლენს ჩემპიონს.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი“ | 25 | 68:20 | 40 |
| „ბენფიკა“ | 25 | 70:29 | 39 |
| „ფკ პორტო“ | 25 | 38:25 | 31 |
| „გიმარესი“ | 25 | 52:44 | 31 |
| „ვიტორია“ | 25 | 43:37 | 27 |

(საქ. ინფ.).

# ჩემპიონატები, თასები, მატჩები

## ბეტონმა ვერ უშველა

ბარსელონაში ბაზრობათა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი შეხვდა ლონდონის „ჩელსის“. ინგლისელებმა თამაშის დაცვითი ვარიანტი აირჩიეს — წინ მხოლოდ 2 თავდამსხმელი დატოვეს. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, სტუმრებმა მხოლოდ ნახევარი საათის მანძილზე შეძლეს მასპინძელთა შეკავება: 31-ე წუთზე ბარსელონელთა ნახევარმცველმა ფუსტემ თავური დარტყმით გაიტანა პირველი გოლი — 1:0.

„ბარსელონა“ განუწყვეტლივ უტევდა სტუმართა კარს, მაგრამ მხოლოდ 89-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გაზრდა — „ჩელსის“ კართან შექმნილი ორომტრიალით ისარგებლა ცენტრალურმა თავდასხმელმა სალდუამ — 2:0.

თამაში ძალიან უხეში იყო.

(საქ. ინფ.).

## ტრადიციას არ უღალატა

გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის“ მინდორზე ოთხშაბათს გაიმართა შოტლანდიის თასის გათამაშების განმეორებითი ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „გლაზგო რეინჯერსი“ და „სელტიკი“.

თამაში „სელტიკის“ უპირატესობით წარიმართა და „რეინჯერსმა“ კონტრშეტევებზე ააგო ტაქტიკა.

70-ე წუთზე „რეინჯერსის“ მარჯვენა გარემარბმა ჰენდერსონმა ძლიერად გაგზავნა ბურთი „სელტიკის“ კარში, მეკარემ იგი მოიგერია, მაგრამ იოჰანესენმა ხელმეორედ დარტყმით გაიტანა გოლი — 1:0.

ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში. ამრიგად, „გლაზგო რეინჯერსმა“ ტრადიციას არ უღალატა — 36 წლის განმავლობაში მას თასის ფინალი არ წაუგია: ცხრამეტჯერ გავიდა ფინალში და ცხრამეტჯერვე გაიმარჯვა.

(საქ. ინფ.).

## სტოპერი — სნაიპერი

ინგლისის სპორტული პრესა აღნიშნავს, რომ „ლიდს იუნაიტედისა“ და ინგლისის ეროვნული ნაკრების სტოპერს ჯეკ ჩარლტონს ხშირად ავიწყდება, რომ იგი მცველია და სნაიპერობას „იჩემებს“. ჩარლტონის სწორედ ამ თვისებამ უშველა გასულ ოთხშაბათს „ლიდს იუნაიტედს“, როცა იგი შინ, ბაზრობათა თასის მეორე ნახევარფინალურ მატჩში, შეხვდა ესპანეთის „რეალ-სარაგოსას“ (პირველი მატჩი ესპანელებმა მოიგეს — 1:0).

„ლიდსმა“ შედეგს 22-ე წუთზე მიაღწია: ანგარიში გახსნა მარცხენა გარემარბმა ჯოჰანესენმა. გუნდი განაგრძობდა იერიშებს, მაგრამ მისი თავდამსხმელები ბურთს კარს აცილებდნენ. სამაგიეროდ, 62-ე წუთზე სარაგოსელთა მარჯვენა გარემარბმა კანარიომ თავისი რეიდი გოლით დააგვირგვინა — 1:1.

„ლიდსი“ მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდა და 3 წუთის შემდეგ ჯ. ჩარლტონმა თავით გაიტანა გადამწყვეტი გოლი „სარაგოსას“ კარში — 2:1.

ვინაიდან ორი მატჩის შედეგად ბურთების შეფარდებაა 2:2, მომავალ ხუთშაბათს ჩატარდება მესამე შეხვედრა.

(საქ. ინფ.).

## სამი პრეტენდენტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის მორიგ, XXX ტურში „მაიდერიხერმა“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა გათამაშების ლიდერი — დორტმუნდის „ბორუსია“ — 2:1. სამაგიეროდ, გაიმარჯვა დანარჩენმა ორმა ლიდერმა — მიუნჰენის „ბაიერნმა“ და „მიუნჰენ 1860“-მა. „ბაიერნმა“ მოუგო „კაიზერსლაუტერნს“ (2:1), ხოლო „მიუნჰენ 1860“-მა — დასავლეთ ბერლინის „ტასმანია 1900“-ს — 4:0.

ჩემპიონატის დამთავრებამდე მხოლოდ 4 ტური დარჩა.

აი, პირველი ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბორუსია“ | 30 | 66:27 | 45 |
| „ბაიერნი“ | 30 | 68:31 | 45 |
| „მიუნჰენ 1860“ | 30 | 73:35 | 45 |
| „ფკ კიოლნი“ | 30 | 61:35 | 38 |
| „ვერდერი“ (ბრემენი) | 30 | 64:38 | 38 |

## უცხოეთის ფეხბურთი

● ვალენსია. ესპანეთის ნაკრებმა აქ მიიღო საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული კლუბი — ბორდოს „ჟირონდა“. ესპანელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 6:0.

● ლაიპციგი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 4:1.

# ყველანი ჟაკ ანკეტილის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ სპორტული გაზაფხული დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო, ევროპის უძლიერესი ველოსიპედისტები ვერ ასწრებენ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლას. ავტომანქანებს, მატარებლებს, თვითმფრინავებს ისინი სულ ახალი შეჯიბრებების სტარტებზე გადაჰყავთ.

იტალიაში „ჯირო კალაბრიას“ შარშანდელმა ჩემპიონმა მ. დანჩელიმ მოიგო. ორი დღის შემდეგ კი ველოსიპედისტები „ჯირო კამპანის“ სტარტზე გამოვიდნენ. რბოლის ლოზუნგი ასეთი იყო: „ყველანი ჟაკის წინააღმდეგ“. ასზე მეტმა იტალიელმა ფიცი დასდო ყოველმხრივ შეეშალათ ხელი ერთადერთი ფრანგისთვის — სახელგანთქმული ჟ. ანკეტილისთვის.

მაგრამ „რუანის ნორმანდიელი“ დანებებას არ ფიქრობდა. როდესაც მან გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო, ზურგს უკან მხოლოდ ერთი მეტოქე, ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი გ. დე როსო ჰყავდა. ამ დუეტს კონკურენცია ველარავინ გაუწია. მაგრამ ანკეტილი მეტისმეტად გადაღალა ამ გამუდმებულმა, „უთანასწორო“ ბრძოლამ და ფინიშის ხაზი, როგორც ვიუწყებოდით, პირველმა გ. დე როსომ გადაკვეთა.

## კენგურუს მესამე „პროფესია“







ავსტრალიელებს უნახავთ რინგზე მოჩხუბარი კენგურუ, უნახავთ „მძლეოსანი“ კენგურუ, რომელიც საკმაოდ კარგად ხტება სიგრძეზე... მაგრამ კენგურუს სპორტული ნიჭი მხოლოდ ამ სახეობებით როდი შემოიფარგლება. სურათზე თქვენ ხედავთ 4 წლის წითელ კენგურუ ბოუნსერს, რომელიც ბურთს თამაშობს თავის პატრონთან და „მწვრთნელთან“, ლისტერფილდელ ნ. რასელთან ბუშ ექოს ფერმაში (მელბურნთან ახლოს).

აი, რარიგ ოსტატურად იღებს ბურთს კენგურუ (მარჯვენა სურათი).

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

1 მაისს

საწყლოსნო სპორტის მოყვარულთათვის „თბილისის ზღვის“ წყალჯომარდობის ბაზა საზაფხულო სეზონს ხსნის. მშრომელთა აქტიურ დასვენებასა და გართობას მოემსახურებიან კომფორტაბელური გემი, კატარღები, ნიჩბიანი ნავები.

მიიღება განაცხადები კოლექტიური სეირნობისთვის (ფულის გადარიცხვით). დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ დირექციას: ტელეფონი 5-41-04.

„თბილისის ზღვის“ წყალჯომარდობის ბაზის დირექცია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 9 58-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9 56 47, სამდივნო — 3-95 30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95 11, ფოტოლაბორატორია — 3-95 16, მემანქანეთა ბიურო — 3 95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ № 14.

11 უე 05926